№ 110 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, მაისის 19 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის ვაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

ამიერ-კავკასიის ბანკი

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 25 მაისს დღის 12 საათზე ბანკის საწყობში, ტამოჟნის ქუჩა № 4, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა მანუფაქტურაზე. პირობები გამოცხადებული იქნება საჯარო ვაჭრობის დროს. 1061 3—1

თამბაქოს ქარხნის „მ ი რ“-ის

სააქციო საზოგადოების გამგეობა

სთხოვს ბ. ბ. აქციონერებს მობრძანდნენ

ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე,

რომელიც დანიშნულია კვირას, ამა წლის მაისის 20-ს, დილის 11 საათზე,

საზოგადოების კანტორის ბინაზე, სომხების ბაზარში, მანთაშევის სასტუმრო ეზო.

განსახილველი საგნები:

1) 1919 საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) საზოგადოების მოქმედება ქარხანაში ცეცხლის გაჩენის შემდეგ
3) 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) არჩევა ერთი დირექტორისა. იმის მაგიერ, რომელიც რიგით თანამდებობას თავს ანებებს, და ერთი დირექტორის კანდიდატისა.
5) სარევიზიო კომისიის ოთხი წევრის არჩევა.

აქციები, ან მათი მაგიერი მოწმობები, მიიღება საზოგად. კანტორაში ყოველ დღე, დილის 10-დან დღის 2 საათამდე. გარდა კვირა-უქმეებისა და მათი მიღების ვადა თანახმათ საზ. წესდ. მე-56 § თავდება შაბათს, ივნისის 19-ს, დღის 2 საათზე. 510 1—1

ქ. ტფილისის კომენდანტისაგან

სასტუმროების და სახლების პატრონებს წინადადებას ვაძლევ ორი დღის განმავლობაში ამის გამოცხადებისა წარმოადგინონ კომენდანტის სამმართველოში (ქუჩ. ბროსსე № 2) სწორი ცნობები მათთან მცხოვრებ სამხედრო პირთა შესახებ, იმის აღნიშვნით თუ ვინ რომელ ნაწილიდან როდის ჩამოსულა ქ. ტფილისში.

523 1—1 ტფილისის კომენდანტი.

ვაჭრობა მრეწვ. დეპარტამენტისაგან

31 მარტს 1920 წ. მე-845 და 840 ნომრებით ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა ნება დართო ფირმას „ოქროს ზარი“, მის მიერ წარმოდგენილ სავაჭრო ნიშნებით განსაკუთრებულ სარგებლობისა ერთი წლის ვადით. 1112 1—1

სახელმწიფო თეატრი

იპოვეს მუსიკოსებს სახელმწიფო სამსახურში, თეატრთან არსებულ ორკესტრისათვის.

თითეული ორკესტრანტი მიიღებს გარდა ჯამაგირისა სრულ სურსათის ულუფას. მიღება მოხდება კონკურსით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრის კონტროლში ყოველდღე 11—2 საათ. და საღამოს 7—9 საათამდე. კონკურსის დღე ცალკე იქნება
520 გამოცხადებული. ორკესტრი იარსებებს ამა წლის 1 ივნისიდან. 3—2

გაიცემა იჯარით საწყობებისთვის

ათას საქონზე მეტი ადგილი

დიდი მთავრის ქ., № 24,

სადაც იყო შეშის და ხის მასალის საწყობი.

პირობების შეტყობა შეიძლება 9—3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროში ქარვასლის და ელექტრონის კანტორაში, დამფუძნებელ კრების ქ., № 5 (ყოფილი
445 თავად-აზნაურობისა).

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

სანაპირო ჯარის დარიალის რაზმთან ორი საარტილერიო მწყობრის დროებითი შტატის დამტკიცებისა.

დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის აპრილის 1-დან ამ დეკრეტთან დართული სანაპირო ჯარის დარიალის რაზმთან ორი საარტილერიო მწყობრის დროებითი შტატი.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული ორი საარტილერიო მწყობრის შტატის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის აპრილის 1-დან ივნისის 1-დე ყოველთვიურად სამოცდა თვრამეტი ათას ცხრაას ოცდა ათი (78.930) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მაისის 11-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

მე-6-ე დარიალის რაზმთან მსუბუქი მოძრავი არტილერიის მწყობრის დროებითი შტატი.

თანამდებობის სახელწოდება.	მსახურთა რიცხვი.	საზარდავთა რიცხვი.	ცხენების რიცხვი.	თვიური ჯამაგ. თვით.	შენიშვნა.
I. ოფიცრები:					
მწყობრის უფროსი, (უფროსი ლეიტენანტი)	1	—	1		
II. ჯარის-კაცნი:					
უფროსი ნაცვალი . .	1	—	1		
უმცროსი ნაცვალი .	2	—	—		
მომიზნე .	2	—	—		
თავმდეგი ტელეფონისტი	1	—	—		
თავმდეგი სხვა . . .	6	—	—		
ტელეფონისტი . . .	2	—	—		
ჯარის-კაცი	17	—	—		
III. მოძრავი შებმულობის შემადგენლობა.					
ზარბაზნები წინალეგიანად	2	—	12		
სამუსტე ყუთი . . .	1	—	6		
სულ მწყობრში:					
ოფიცერი . . .	1	—	—		
ჯარის-კაცი . .	31	—	—		
ცხენი	—	—	20		
თვიური ხარჯი ამ შტატის მიხედვით .	—	—	—		61080 მ.

(თანამდებობის მიხედვით, როგორც ჯარში.)

1920 წ. მაისის 11.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანი.**

მე-6-ე დარიალის რაზმთან საპოზიციო სამთო არტილერიის მწყობრის დროებითი შტატი.

| თანამდებობის სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი. | | | | |

მობილიზაცია

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 12 მაისის დადგენილებისა გამოცხადებულია საქართველოს ქვეშევრდომ ქვეითა ჯარის ოფიცრების მობილიზაცია. მობილიზაციის პირველ დღეთ არის დანიშნული 17 მაისი, ხოლო გამოცხადების პირველ დღეთ 18 მაისი.

ამიტომ გაწვეული ოფიცრები უნდა გამოცხადდენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქ.) 18 მაისს დილის 10 ს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

ხებისთანავე თქვენთან ერთად მკერდით დაიცვას თავისი რესპუბლიკა და რევოლიუციით მონაპოვარნი.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ გვარდიას—პროლეტარიატის სიამაყეს!

გაუმარჯოს დემოკრატიულ ჯარს—ქვეყნის იმედს!

სალამი თქვენ ტფილისის პროლეტარიატისაგან.

ხ ა შ მ ი.

ხაშმის საზოგადოებამ მოისმინა რა მოხსენება იოსებ იმედაშვილისა დღევანდელ მდგომარეობაზე გულითად სალამს უძღვნის ჩვენს ერის საამაყო ბელადს ნოეს მთავრობას, ფრონტს, გვარდიასა და ჯარს. ვერაგ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი სიცოცხლით და გონებით წინადაც თქვენთან ვიყავით და ახლაც თქვენთან ვართ. სალამი ჩვენს მებძოლთ.

ხაშმის გვარდიის რწმუნებული

დავით ზუკაშვილი.

ფრონტის დღე

რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტის დადგენილებით ხვალ, მაისის ოცს და ოცდა ათს გაიმართება „ფრონტის დღე". ჩვენში ამ უკანასკნელ დროს ძალიან ბევრი „დღეები" იმართება და შეიძლება საზოგადოებას მობეზრდა კიდეც ეს დღეები, მაგრამ ფრონტის დღე სულ სხვა დღეა, ამ დღეს უნდა დაუმტკიცოთ ბრძოლის ველზე მყოფ ჩვენ მებრძოლ შვილთ, რომ ჩვენც მათთან ვართ, რომ ჩვენც მათთან ერთად განვიცდით ომის სიმწარეს. მებრძოლნი უნდა დარწმუნდნენ, რომ შინ დარჩენილ მათ ცოლშვილისთვის ჩვენ ვზრუნავთ, ისე როგორც საკუთარი თავისთვის. რომ მთელი ჩვენი არსება, მთელი საზოგადოებრივი ყურადღება დღეს ფრონტისკენ არის მიპყრობილი. რომ ჩვენ ზურგში მყოფთ ერთ წუთსაც არ გვავიწყდება ბრძოლის ველზე მყოფი ჩვენი დამცველი მებრძოლნი. ან როგორ შეგვიძლია დავივიწყოთ ერის ის საუკეთესო შკილნი, რომელნიც მკერდით იცავენ ჩვენი სახელმწიფოს არსებობას, რომელნიც სისხლსა ღვრიან, ზვარაკად ეწირებიან სამშობლო საქართველოს დემოკრატიის კეთილდღეობისათვის, მისი გამარჯვებისათვის. ფრონტი მეტად აზიზი და ნაზია—მას ცოტა რამე გაახარებს და აწყენინებს კიდეც. მაგრამ ღანა გამოჩნდება ისეთი, რომ ფრონტის სიამოვნებისათვის, მისი გამარჯვებისთვის არ იზრუნოს? არა და არა, ზურგში მყოფი მოქალაქე კარგად გრძნობს, თუ რა მოელის მას ფრონტის დაუძლურებით. კარგად იცის, რომ დაირღვევა მისი მყუდრო ცხოვრება. როგორც გაფაციცებით ვადევნებთ თვალ ყურს ომის მსვლელობას, ისეთივე ენერგიით უნდა ვზრუნავდეთ ფრონტის სიმაგრისათვის და ეს უნდა დავამტკიცოთ „ფრონტის დღეს". ვისაც რით შეგვიძლია, ყველა, ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოს „ფრონტის დღეს" ყველა და ყველაფერი ფრონტისთვის, აი სადღეისო ლოზუნგი, ამას გვავალებენ ჩვენ დღეს დაღუპულ მებრძოლთა აჩრდილები, ამას მოითხოვენ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები. საჭირო არ არის მილიონები, „მცირედიც შეიწირების"... საჭიროა მხოლოდ, რომ ფრონტმა იგრძნოს, დარწმუნდეს, რომ ზურგში მყოფ მოქალაქეთა შორის ერთსულოვნება სუფევს, ფრონტისათვის ზრუნავს, მის ჭირსა და ლხინს იზიარებს, ყოველივე ეს უნდა დავამტკიცოთ საქმით ოცს და ოცდა ათს მაისს „ფრონტის დღეს".

მოქალაქე.

ოდიდა სოფელი

უკანასკნელი საფრთხე დღითი დღე მწვავდება. მისი თავიდან აშორება არც ისე ადვილი გამოდგა. კვლავ საჭიროა მსხვერპლი. გააფთრებული ადერბეიჯანის „წითელი" ბანდები და გახულიგანებული რუსის ჯარის-კაცები ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოს დემოკრატიის გადაყლაპვაში. ტკბილი სიტყვის დრომ განელო, საჭიროა მხლოთ გასამართლება. ისტორიამ არ აკმარა საქართველოს დემოკრატიას ის ტანჯვანი, რომელიც მან განიცადა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. დადგა დრო, როცა ქართველი დემოკრატია ერთხელ კიდევ უნდა დაირაზმოს, როგორც ერთი კაცი ფეხზე ადგეს შემოსეულ მტრების წინააღმდეგ. შეიძლება ეხლანდელი ომი უკანასკნელი იყოს, იქნებ მას აგდამწყვეტი ხასიათი მიეცეს.

დღეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები მტერს გმირულად ეკვეთებიან, მაგრამ უმეტესობა ჯერ ზურგს უკანაა. ჯერ კიდევ არ მოუთხოვია სამშობლოს ქუდზე კაცი. ჯერ ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარიც კი უმკლავდება მტერს. მაგრამ, როგორი განწირული სულის კეთება, როგორი გმირული სულიც არ უნდა სუფევდეს ჩვენ მებრძოლთა შორის ფრონტი მაინც არ იქნება ძლიერი, თუ მას ზურგი არა აქვს მაგარი. ამისათვის დღეს, ზურგში დარჩენილი რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე ფრონტზე უნდა ფიქრობდეს, მაზე უნდა ოცნებობდეს, ყოველდღიურ მიზნად უნდა ქონდეს დასახული, რომ თავის წვლილი შეტატოს მან ფრონტზე გამარჯვებას, ყოველ წუთს ფრონტი უნდა გვედგას თვალწინ, სულიერად ფრონტზე უნდა დავფრინავდეთ ჩვენ მებრძოლ ძმებთან, მამებთან, ქმრებთან, მათთან უნდა ვიცინოდეთ და ვსტიროდეთ. თვითეული მებრძოლის დაკარგვა, მისი ჭრილობა, ყველას, საკუთარ დანაკლისად, საკუთარ ტკივილად მიგვაჩნდეს. როცა ასეთ თანაგრძნობას, სულიერ თანაგრძნობას და სიყვარულს დაინახავს ჩვენი მებრძოლი ზურგიდან ის უფრო გაორკეცებული სულის აღტკინებით შეებრძოლება მტერს, ფრონტი უძლეველი გახდება.

ქალაქებში შესდგა თავდაცვის საბჭოები, იმართება „ფრონტის დღეები". გროვდება შემოწირულებანი, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სულის ჩამდგმელი, მისი მაცოცხლებელი უმეტესად სოფელი, სოფლის დემოკრატიაა—გლეხობა. ამისათვის სოფელმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ომის ბრწყინვალედ დაგვირგვინების საქმეში. საჭიროა თვითეულ სოფელში საჩქაროთ შესდგეს თავდაცვისა და ომის დამხმარე კომიტეტები, რომლის მიზანი იქნება ფრონტის გამაგრება. არ კმარა სახელმწიფოს მიერ ომის საჭიროებისათვის რაოდენიმე მილიონების გადადება, საჭიროა ფართო მასის დახმარება, ჩვენი დოვლათიანი გლეხობის წვლილს, თვითეულ შემოწირულ მანეთსაც კი მნიშვნელობა აქვს, როგორც ნივთიერად, ისე მორალურად. ჩვენი სოფლები და მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციები დღეს იმდენათ შეგნებული და გათვითცნობიერებულია, რომ ჩვენ არ დაგვჭირდება ბევრი განმარტება იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ მომენტს ჩვენი გლეხობისთვის. თვითეულმა სოფლის მოქალაქემ—გლეხმა უნდა იცოდეს, რომ თუ ეხლანდელი საფრთხე თავიდან ვერ ავიცდინეთ, თუ ომი ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით არ დამთავრდა, ის სამუდამოთ უნდა გამოეთხო. ვოს მიწასაც და თავისუფლებასაც; ოსმალეთის ფაშა-ბეგების ფულით მოსყიდული თათრები, გინდა გასისხლიანებულ-გახულიგანებული რუსი ჯარის კაცები ხეირს დააყრიან ჩვენ სოფლებს? განა მათი წაბილწული ფეხის შემოდგმა ჩვენს ტერიტორიაზე საქართველოს დემოკრატიის დასამარებას არ მოასწავებს?! ყოველივე ეს კარგათ უნდა შეიგნოს ჩვენმა გლეხობამ, კარგად უნდა აწონ-დაწონოს ის საშინელებანი, რომელიც მას მოელის კარზე მომდგარ საფრთხის წყალობით. მართალია ეხლა მუშაობის დროა, ჩვენი შრომისა და მშვიდობიანობის მოყვარული გლეხობა სამუშაოს ეშურება, მაგრამ მუშაობაზე, მომავალ მოსავალზე უფრო ძვირფასია თავისუფალ სამშობლოს გადარჩენა.

ფულით, პურით, სიმინდით, ლობიოთი, ყველით, კვერცხით, ერთი სიტყვით ვისაც რით შეუძლიან იმითი უნდა დაეხმაროს ფრონტს. გარდა ამისა ამ მობილიზაციის დროს დიდი მოვალეობა ადევსთ სოფლის საერობო თემებს, მათ მხოლოდ ხალხის დახმარებით სრულიად და უმტკივნეულოდ უნდა ჩაატარონ მობილიზაცია. თუ ხალხის მხრივ ფართოდ არ იქნა დახმარება, ისე ერობების საქმიანობას არ ექნება სასურველი ნაყოფი. ყოველი სოფელი, თვითეული მოქალაქე უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მათ შორის არ აღმოჩნდეს სამშობლოს მოღალატე—დეზერტირები; თუ ასეთები ათასში ერთი მაინც გამოჩნდება, ის არსებული კანონის თანახმად, საჯაროდ უნდა დაისაჯოს სხვისთვის სამაგალითოდ.

მაშ ასე, შეკავშირებული სოფელი, თავდაცვის და ომის დამხმარე კომიტეტების დაარსება, გაწვეულ ახალგაზრდობის ბრძოლის ველზე გასტუმრება, შინ მათი დარჩენილი ოჯახებისათვის ზრუნვა-პატრონობა, დეზერტირების დევნა, აი რა უნდა შეადგინდეს დღეს, ომის დროს სოფლის საზრუნავ საგანს; მთელი სოფელი—ქალი, კაცი, დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი გამარჯვებისთვის, ომის ბრწყინვალედ დამთავრებისათვის უნდა ზრუნავდეს.

ჩვენც ამ იმედით მოუწოდებთ რესპუბლიკის ყველა სოფლებს დადგეს ფეხზე, როგორც ერთი კაცი, იზრუნოს ფრონტისთვის; დეე, ერთხელ კიდევ დაინახოს მტერმა ჩვენი დემოკრატიის ერთსულოვნება, მისი სულიერი სიმტკიცე და ღრმა რწმენა გამარჯვებისა!..

გრ. ს —ელი.

მდგომარეობა გაქოში

ადერბეიჯანისა და ბაქოს მდგომარეობის შესახებ „სლოვო"-სთვის შემდეგი ცნობები მიუწოდებიათ:

ძველი მუსავატურ მთავრობის წევრები: ფუსუბეკოვი, ხოელი და სხვ.-გაიქცნენ და გამოურკვეველია სად იმალებიან. დაპატიმრებულნი არიან ცნობილი ნავთის მრეწველი და ერთ ერთ კაბინეტის ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი მირზა ასადულაევი, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი საფარალიევი, მისი ძმა და სხვ.

ქალაქში მრავალ რიცხოვანი რუსის ჯარია და მოქმედობენ რუსი კომუნისტები. ადერბეიჯანი აღარ არსებობს. საზოგადოთ ქრისტიან მცხოვრებთა და კერძოთ სომხების მდგომარეობა ნორმალურია. ნუხის მაზრის უფროსი თათარი, რომლის მეთაურობით იყო დარბეული ერთ დროს ნუხის მაზრაში მცხოვრები სომხები, ეხლა სამართალშია მიცემული და ციხეში ზის. ბაქოში სომხები მოითხოვენ მთავრობისაგან დამრბევ თათრების დაპატიმრებას და ზ ოალის აღდგენას. ბევრი თათრები ეხლა სომხების მფარველობას ეძებენ. მოხდა ნაციონალიზაცია ყველა ბანკისა, საზოგ. „ელექტრონის ძალა"-ს და ტაგიევის ფართლეულის ფაბრიკისა. არ ხდება ნაციონალიზაცია სახლებისა, სამრეწველოებისა და ქარხნებისა.

26 მაისი

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ ტფილისის ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ, კულტურულ-საზოგადოებრივ ტ ეკონომიურ დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა შემდეგი:

26 მაისი საყოველთაო ეროვნული დღესასწაულია, დამოუკიდებლობის დაცვის დამამტკიცებელი სიმბოლოა. მას იდღესასწაულებს მთელი საქართველოს ხალხი განურჩევლად მდგომარეობისა, მიმართულებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

ამ სახალხო დღესასწაულს გაუძღვებიან ადგილობრივი ძალები, ქალაქებში თვითმართველობანი, სოფლად, პროვინციაში ერობები, თემები, იდღესასწაულებენ ავტონომიურად, შეძლების დაგვარად, თავის მხატვრულ გემოვნების მიხედვით და სახელმწიფოებრივ-ეროვნული ელფერის მიცემით.

რესპუბლუკის დედა-ქალაქის მორთვა—განათებაზე იზრუნვებენ მისივე მცხოვრებნი და ქალაქის თვითმმართველობა.

ყოველი დაწესებულება, რომელსაც კი სურვილი აქვს 26-ს მაისობაში ამა თუ იმ სახით მონაწილეობის მიღება, წინასწარ თავდარიგისათვის აცნობებს კომისიას.

ზეიმში ყველა მონაწილე ორგანიზაციები თავიანთ ნიშნებით და დროშებით იკრიბებიან თავისუფლების მოედანზე და შემდეგ გაემართებიან აქედან სტადიონისკენ.

განსაკუთრებით სასურველია, რომ პროცესიაში მონაწილეობდნენ მორთული ეტლები და ავტომობილები, რომელნიც მორთულ-მოკაზმულ უნდა იქნეს საქართველოს თავისუფლების და მომენტის მნიშვნბლობის სიმბოლოებით, როგორათაც მაგალ. რევოლიუცია და მისი დაცვა „დამოუკიდებლობა", სამშობლოს დაცვა, სიმბოლოები ნაყოფიერებისა, „სილამაზისა", მეურნეობისა „სწავლა-განათლების" და სხვა.

ყველა ვინც ავტომობილის ან ეტლის მორთვას განიზრახავს, წინასწარ უნდა აცნობოს კომისიას, რომელიც, თუ საჭირო იქნება, დაეხმარება მათ თავისი მხატვრების საშუალებით.

ვაკეში სტადიონზე გამართული იქნება სხვადასხვა გვარი სანახაობანი: ატლეტიზი, შავარდენთა მრავალ-მხრივი ვარჯიშობანი, ფეხ-ბურთი, ხევსური ფარიკაობა, ბურთაობა, ჯირითი, ცეკვა, სიმღერა და სხვა.

დღეობაში ხელოვნების მხრივ გამოჩენებით გამოსულთ მიეცემათ ჯილდონი. სალამოთი ყველა თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები.

ამ დღეს თბილისიდან გაემართებიან სადღესასწაულო მატარებლები ფრონტისკენ, რომლებითაც სხვათა შორის გაეგზავნებათ მეომრებს სადღესასწაულო საჩუქრები, რის მოგროვება-შეკრებაც მიენდო საგანგებო კომისიას.

ირ. წერეთლის მოხსენებიდან

ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა ირ. წერეთელმა მაისის 16-ს მუშათა კლუბში პროფესიონალურ ორგანიზაციათა შეერთებულ კრებაზე გააკეთა მოხსენება, რომლიდანაც შემოკლებით მოგვყავს ზოგიერთი საყურადღებო ადგილები.

ომის გავლენა წარმოებაზე.

ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო, გერმანია და რუსეთი, დღეს სავსებით ამოშლილია დიდ სახელმწიფოთა სიიდან და ისინი ვერავითარ მონაწილეობას ველარ იღებენ ეკონომიურ ცხოვრებაშია. ომამდე რუსეთი ცნობილი იყო, როგორც მთელი მსოფლიოსთვის ნედლი მასალის მიმწოდებელი, ხოლო გერმანია, როგორც უძლიერესი სამრეწველო. და რასაკვირველია, ამ ორ უმნიშვნელოეს სახელმწიფოს განადგურებამ, მსოფლიოს საწარმოო ძალებისაგან გამოთიშვამ უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაზე. ყველას ძალაუნებურად თვალში ხვდება ის ცარიელი ადგილი, რომელიც გერმანიისა და რუსეთის შემდეგ დარჩა მსოფლიო წარმოებაში და მთელი ევროპა მწვავედ განიცდის ამ სიცალიერისაგან გამოწვეულ შედეგებსო.

დავალიანება

ყველა სახელმწიფო საშინლად დავალიანდა: ინგლისის სახელმწიფო ვალი 8 მილიარდ სტერლინგს აღემატება, საფრანგეთისა —200 მილიარდ ფრანკს, ხოლო იტალიისა —190 მილიარდ ლირას. საშინელ რყევაშია ამ სახელმწიფოთა ვალიუტის კურსი. საფრანგეთისა და იტალიის ფულის ნიშნების ღირებულება წარმოუდგენელის სისწრაფით ეცემა, მხოლოდ ევროპის პატარა, ნეიტრალურ სახელმწიფოების საქმეა ამ მხრივ უფრო მტკიცე მდგომარეობაში. სიძვირე ყველგან დღითი დღე მატულობს და არავინ იცის, როდის დაედება მას საზღვარი.

მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის, რომ ოთხი წლის ომმა, ხანგრძლივმა ცხოვრებამ თხრილებსა და სანგრებში დამღუპველი გავლენა იქონია საწარმოო ძალის, მშრომელთა ფსიხიკაზე, ხალხი შრომას გადაეჩვია და ამიტომ შრომის ნაყოფიერებაც საგრძნობლად დაეცაო.

ჟორესის აზრი.

ჯერ კიდევ ჟორესი წინასწარმეტყველებდა, რომ მომავალი საერთაშორისო ომი იქნება შეტაკება არა ჯარების არამედ შეტაკება მთელი ხალხისა და ამ შეტაკებიდან გამარჯვებული გამოვა არა ის სახელმწიფო, რომელსაც უფრო კარგი შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარი ჰყავს, არამედ ის ერი, რომელიც კულტურულად და ეკონომიურად ძლიერიაო. ამიტომ, ჟორესის აზრით, საჭირო არ არის უმთავრესი ყურადღება ჯარისკაცთა სამხედრო მომზადებას მივაქციოთ, საჭირო არ არის ახალგაზდობა ხანგრძლივად ჩავკეტოთ ყაზარმებში, უმჯობესია სამხედრო ხელოვნებას ყველა მოქალაქე გაეცნოს რომელსაც კი იარაღის ტარება შეუძლიაო. მომხსენებელის აზრით, ჟორესის ეს შეხედულება სავსებით გაამართლა საერთაშორისო ომმა, რომელშიც მთელი ერი იღებდა მონაწილეობას და ამიტომაც სამხედრო ავტორიტეტებს საფრანგეთში მაინცა და მაინც დიდი პატივისცემით არ ეპყრობიანო. სამშობლოს დაცვაში ყველა მოქალაქემ მიიღო მო-

ნაწილეობა, ყველა სისხლს ღვრიდა და გამარჯვებაც ერის გამარჯვებად მიაჩნიათო.

ბალშევიზმი.

ევროპის ეკონომიურ პოლიტიკური ცხოვრება ტუპიკში მოემწყვდა, ყველა გრძნობს, რომ საჭიროა ცხოვრების გარდაქმნა, ზარა არა სჩანს ძალა, რომელმაც ეს გარდაქმნა უნდა ითაოს. და ამაში უმთავრესი ბრალი რუსეთის ბალშევიზმს მიუძღვის. რუსეთი ჯერ კიდევ ომამდე იყო მოწყვეტილი ევროპას და ომიანობისა და რევოლიუციის შემდეგ მით უფრო მოწვეტილია კულტურულ კაცობრიობას. ევროპა მხოლოდ ორი საშუალებით ეცნობა რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას: პირველი—ეს მოკავშირე სახელმწიფოთა ინფორმაციაა, ხოლო მეორე—თვით ბალშევიკების ცნობები. პირველნი ჯოჯოხეთად ნათლავენ საბჭოთა რუსეთს, ხოლო ბალშევიკური ცნობები სამოთხეს ადარებენ დღევანდელ რუსეთს დამოუწოდებენ ევროპის მუშათა კლასს, მხარი დაუჭირონ საბჭოთა რუსეთს და მათაც დაამყარონ კომუნისტური წყობილება. ევროპის რეაქცია მშვენივრად სარგებლობს ბალშევიზმით და ხალხს ეუბნება: თქვენ არ მოგწონთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა? აბა ნახეთ როგორი მდგომარეობაა ბალშევიკურ რუსეთში! და მთელი ბურჟუაზია, მთელი გლეხობა, მდაბიო მოქალაქენი სავსებით უჯერებენ რეაქციის ძახილს და შიშით კრძალვით იხსენიებენ, როგორც ბალშევიზმს, ისე სოციალიზმს, ამავე დროს პროლეტარიატი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთი, უფრო შეუგნებელი ნაწილი ბალშევიზმს ემხრობა და მასზე ამყარებს იმედებს, ხოლო მეორე შეგნებული, ორგანიზაციულად შეკავშირებული ნაწილი, რომელსაც კარგად აქვს გათვალისწინებული ბალშევიზმის უარყოფითი მხარეები, მთელ თავის ძალღონეს იმაზე ხარჯავს, რომ შეუგნებული ნაწილი შეაკავონ და დაიფარონ ბალშევიკური ექსპერიმენტებისაგან. და ამას ახერხებს ის კიდევაც. მაგრამ მთელი მისი ენერგია ამაზე იხარჯება და ცხოვრების გარდაქმნისთვის ვერ იცლის. და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება მანამდის, სანამ ბალშევიზმი იბატონებს რუსეთში და სანამ თვით რუსეთის ცხოვრება არ ალაგმავს მას.

საქართველოს მდგომარეობა.

ჩვენი მდგომარეობა დიდად წააგავს ბელგიის მდგომარეობას. ყველა ბელგიელი მუშა კარგადა გრძნობს, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც რუსეთში ჰქონდა ადგილი, ბელგიას სავსებით აღგვიან პირისაგან ქვეყნისა. ამავე აზრის არის ჩვენი საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც ყველაზე ახლოს იცნობს ბალშევიზმს და იმედია საქართველოს მუშათა კლასი, რომლის ხელთ არის ჩვენი რესპუბლიკის ბედ-იღბალი, არ გადაუხვევს ერთხელკე არჩეულ გზას—დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენო.

შინგან საქ. სამინისტროში

ბორჯომის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა.

ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობა შუამდგომლობს შინაურ საქ. სამინისტროს წინაშე, რათა ბორჯომის მამულის სამმართველოს და ქალაქის თვითმმართველობის ურთიერთ დამოკიდებულება იქნეს გამორკვეული. ამისათვის თვითმმართველობა თხოულობს მას გადაეცეს ყველა ის დარგები რასაც მუნიციპალური ხასიათი აქვთ: გზები, განათება, წყალსადენი, გამწმენდი არხები, აბანოები, ბაღები, მოედნები და სხვა. ამას გარდა ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობა თხოულობს გადაეცეს ქალაქს, ბორჯომის წყლის ექსპორტი, რომელიც დღეს კერძო პირს აქვს გადაცემული. შინაგან საქ. სამინისტრომ გადაუგზავნა ეს მიწათ-მოქ. სამინისტროს დასკვნისათვის.

ფოთის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა.

ფოთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ მთავრობამ ელევატორის გასაკეთებლად და გამოსასყიდლად მისცეს გრძელვადიანი ხუთ პროცენტიანი 7 მილიონ მანეთის სესხი. თვითმართველობის ეკონომიური კომისიის გამოკვლევით შავი ქვის გემებზე გადატვირთვა ელევატორებით ჯდება ცხრა აბაზ ნაკლებ ფუთი ვიდრე და ქირავებული მუშა ხელის. ასე რომ თუ ვიანგარიშებთ ათ მილიონ ფუთს წელიწადში გასატან მარგანეცს—ეკონომია იქნება 18 მილიონი. მოხსენება ამ საქმის შესახებ სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას.

სოხუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა.

სოხუმის ქალაქ. თვითმართველობა სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მთავრობამ დაადასტუროს მათი დადგენილება არონ გაბულაშვილის მამულის იძულებითი ჩამორთმევის თაობაზე. სათანადო მოხსენებას ამის შესახებ წარუდგენს შინ. საქ. მინისტრი მთავრობას.

სამხედრო ცნობა

ტფილისი, 18 მაისი.

რეპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.

ყაზახის მიმართულებით მაისის 17 ჩვენი ნაწილები მთელ ფრონტზე წინ მიიწევდენ. მათ არსად არ შეხვედრიათ მტრის ძლიერი წინააღმდეგობა გარდა კაკილის მთისა, რომელიც ჩვენებმა ბრძოლით დაიკავეს. მტრის დიდი კოლონა, რომელიც ყაზახის მხრივ აქსტაფის შარა გზით ჩვენსკენ მოდიოდა. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან სისწორით ნასროლ არტილერიის ცეცხლით გავფანტეთ და პანიკა მოცული უკუვაქციეთ. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა დაჭრილ-დახოცილნი და „პოვოზკები". რამდენიმე მიმართულებაზე გამოჩნდენ მოწინააღმდეგის მხრიდან ჩვენ მხარეზე გადმოსული გამოქცეულნი, რომელნიც აცხადებენ, რომ მათ ქართველებთან ომი არა სურთ. სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

ახალი ამბები

◆ ალექსანდროპოლის „რევკომის" თავდაცვითი საბჭოს შემადგენლობა ასეთი ყოფილა: თავდაცვითი საბჭოს თავმჯდომარე პრიბოლსკი (მონარქისტი). არტილერიის უფროსი—სიკორსკი, მომარაგების კომისარი—კაჩუბინსკი, მილიციის უფროსი ამატუნი, ყაზახთა პოსტის უფროსი—მამიკონიანი. ამ რიგად ალექსანდროპოლის ბოლშევიკებში უმრავლესობა მონარქისტები ყოფილან. ეს საბჭო უკვე განდევნილია.

◆ დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა კონსტიტუციის ტექსტის დამუშავება.

◆ ალექსანდროპოლში სომხეთის ჯარის ნაწილების და ბოლშევიკების შეტაკების დროს მოკლულია ბოლშევიკი ვენერალი ხაჩატუროვი.

◆ ქალაქის საბჭომ 17 მაისის სხდომაზე დაადგინა სისხლის სამართლის მილიცია გამოჰყოს საერთო მილიციიდან. ამავე სხდომაზე განხილულ იქმნა ქალაქის იურისკონსულტის ხუბერინის ჯამაგირის 6000 მანეთამდე გადიდების შესახებ.

◆ ქალაქის საბჭოს დადგენილებით მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველ გასტროლების სერიის წარმოდგენები განთავისუფლებულ იქმნა ქალაქის ბეგრისგან.

◆ ბოლშევიკებს ალექსანდროპოლიდან გასვლის დროს თან წაუღიათ 18 მილიონი მანეთი.

◆ მუსიკალური საზოგადოება ხონში თავის ფილიალურ განყოფილებას ხსნის.

◆ სამთო სამმართველოს სასინჯაო განყოფილებამ აღმოაჩინა ყალბი სინჯადები და აცნობა საგანგებო რაზმს, საგანგებო რაზმმა შეიპყრო ოქროამჭედლები ბაღდასაროვი და კარაპეტოვი.

◆ სასინჯადო განყოფილების უფროსი ინჟენერი სკავროვსკი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან. მის ადგილზე დანიშნეს ინჟენერი ვ. წერეთელი.

◆ სამთო სამმართველოში დიდი მუშაობა სწარმოებს სამთო მადნეულობის დასამუშავებლად, როგორც მაგალითად, მუხრანის „გლაუბერის" მარილია, მარტყოფ-ნორიოს ნავთი და სხვა მადნეულობის.

◆ 26 მაისის დღესასწაულის მომწყობმა კომისიამ ამოირჩია მცირე კომისია ფრონტისათვის საჩუქრების მოგროვებისა და გაგზავნისა, რომელშიაც შედიან: პოლკ. ტ. ართმელაძე, პ. გოთუა და მ. ლაღიძე.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული ცნობები.

რომის პაპმა მიიღო განუტო, რომელმაც მას გადასცა თავისი, როგორც საგანგებო ელჩის, რწმუნებულობის ღრამატა ქანნა დარკის კანონიზაციის ცერემონიაზე დასასწრებლად. გრამოტა დულსისა და სხვა წევრთა თანხლებით დიდის საზეიმო ცერემონიით მიიღეს.

პრაგიდან იუწყებიან: ფინანსთა მინისტრმა ზუნტაგმა პარტიის ლიდერების კრებაზე განაცხადა: ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია. ბანკნოტების შესავსებათ მთავრობა ერთი ბილიონი ბონის გამოშვებაში ბანკირების სინდიკებს შეუთანხმდა. ამ ანგარიშში მთავრობა თავის თავზე არავითარ ვალდებულებას არ იღებს. ბანკები ამ ბონების სესხის უზრუნველსაყოფათ მიიღებენ. დიდი მოთხოვნილებაა ჩეხოსლოვაკიის შაქარზე. სხვადასხვა სახელმწიფო შაქარში დიდ ფულს იძლევა.

შაბათს დილით გაისში მოკავშირეთა პრემიერების კონფერენცია გაიხსნა. დაესწრენ: ლოირდ-ჯორჯი, ჩემბერლენი, მილიერანი, ფრანსუა, მარსალი, ტეხნიკური მრჩეველნი და ექსპერტები. პრემიერებმა გადასწყვიტეს წინადადება მისცენ სხვა მოკავშირეებს, რომ სპის კონფერენცია 21 ივნისისათვის გადაიდოს. გამოიმუშავებენ განცხადებას გერმანიის მთავრობისადმი კონფერენციის გადადების შესახებ. ამ დოკუმენტში ნათლად იქნება გარკვეული მიზნები და საგნები იმ მოლაპარაკებისა; რომელიც მოხდება მოკავშირეთა წარმომადგენელებთა და გერმანიის დელეგატების შორის, რათა თავიდან აცილებული იქნეს ყალბი წარმოდგენა სპის კონფერენციის ხასიათის შესახებ, გერმანიაში ეხლა დაწყებულ არჩევნების მიმდინარეობის დროს. ლოიდ-ჯორჯმა და მილიერანმა, მილიერანის დაჟინებით მოთხოვნით, კიდევ იმსჯელეს გერმანიის განიარაღების შესახებ. გერმანიის მიერ ზარალის ანაზღაურების საკითხი იყო მთავარი საგანი თათბირისა. ამბობენ მილიერანი პრინციპიალურად დასთანხმდა საერთო ჯამის დანიშვნაზე, იმ პირობით, რომ საფრანგეთს ზარალის ანაზღაურებაში პირველობის უფლება მიეცეს, და რომ დანიშნულ ჯამის ნაწილი სულ მოკლე ხანში მას გადაეცესო. ამგვარად საკითხის არსებითი მხარე, რომლის შესახებ ორივე სახელმწიფოს მოღვაწენი თათბირობენ, ეხლა უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია.

ვენიდან იუწყებიან: ავსტრიის ავიაციის მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ბარსმა, იტალიის იაპონიის და ინგლისის წარმომადგენლების თანხლებით სამხედრო მინისტრის ამხანაგ დეიტშს შემდეგი ნოტა ჩაიბარა: ელჩთა საბჭომ დაადგინა მიმართოს ავსტრიის მთავრობას, რომ ავსტრიის სამხედრო მასალა ზედამხედველობისათვის გადასცენ საკონტროლო კომისიას, ასევე მოექცენ კლაგენფურტის სამხედრო მასალასაც. მოკავშირეთა კომისიის ბიუროს თავმჯდომარეს წინადადება მისცეს გაიგოს და მოხსენება გააკეთოს საჰაერო მასალის გაყიდვისა და გატანის შესახებ სალიკვიდაციო სინდიკატის, ან სხვა რომელიმე ორგანიზაციის მიერ.

მადრითში 17—24 მაისისათვის დანიშნულ კონგრესზე განხილული იქნება პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. მათ შორის განხილული იქნება საკითხი ესპანიაში ფრანგი მუშებისა და საფრანგეთში ესპანიის მუშების მდგომარეობის შესახებ.

ვარშავაში მყოფი ამერიკული მისია დაჟინებით მოითხოვს სამხედრო დეპარტამენტისაგან, რომ პოლონეთში ამერიკის ჯარის სანიტარულ ორგანიზაციას ნება დართონ დანიშნულ ვადა 30 ივნისზე მეტ ხანს დარჩენისა—როდესაც მოხდება 3000 ამერიკულის მკბენარებისაგან გასუფთავება და ჯარისკაცები შეერთებული შტატების ტრანსპორტზე სამშობლოში დაბრუნდებიან. ამ მიზნის მიღწევა რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიძლება. ამას გარდა ეს ორგანიზაცია პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრის მატარებლების მკბენარებისაგან გასაწმენდათ მუშაობდა. პოლონელები ამ მუშაობას დიდათ აფასებენ და იმედი აქვთ მისი გაგრძელებისა სანიტარულ ორგანიზაციის ენერგიული მოქმედების გამო, პოლონელებს ეს სახადთან ბრძოლის მთავარ საშუალებათ მიაჩნიათ. პირველად ეს სანიტარული ორგანიზაცია პოლონეთში 6 თვის ვადით გაიგზავნა.

რურის ოლქში შეკრებილი ცნობების თანახმად გერმანიის ჯარი იქ შემცირდა 1919 წ. 8 აგვ. ხელშეკრულებაში აღნიშნულ რიცხვამდე, ამიტომ საჩქაროთ დაიწყო საფრანგეთის ჯარის ევაკუაცია.

გაზეთები იძლევიან ზოგიერთ ცნობებს გაისის კონფერენციის ფინანსიურ შედეგების შესახებ. გერმანიის კონტრიბუციის მინიმუმი ისაზღვრება 120 მილიარდ მარკით, აქედან საფრანგეთი მიიღებს 55% ე. ი. 66 მილიარდს. საფრანგეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა გერმანიამ ვალი გადაიხადოს 33 ვადაში. იგი შეძლებას აძლევს გერმანიას, რომ მან თავი გაინთავისუფლოს თანდათანობითი სესხებით, რომლის ნაწილიც გერმანიის აღდგენას მოხმარდება.

17 მაისს საფრანგეთი მაინის იმ ქალაქების ევაკუაციას მოახდენს, რომლებიც დაჭერილი იყო რურის ოლქში გერმანულ ჯარის შემადგენლობის გაძლიერების გამო.

მილიერანი ფოლკსტონიდან წასვლისას სრული კმაყოფილი იყო მოკავშირეთა შორის ფინანსიური შეთანხმების დაწყებით. ჩვენ ინგლისელ ამხანაგებს მრავალ მუხლსა და საერთო დირექტივებში შეუთანხმდითო სთქვა მან.

ხალხთა ლიგაში შვეიცარიის შესვლის შესახებ სახალხო რეფერენდუმის შედეგები საბოლოოდ ჯერ არ გამორკვეულა, მაგრამ ჯერ ჯეროობით გამორკვეულ ციფრების თანახმად პალატის გადაწყვეტილება ლიგაში შესვლის შესახებ 730,000 ხმის მიმცემთაგან 95.000 ხმის უმეტესობით მოუწონებიათ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ შვეიცარიაში ოპოზიცია ძლიერი იყო. რომანულ კანტონებში თითქმის ყველა მომხრე იყო შეერთებისა. ჟენევაში და ლოზანაში მოხდა პატრიოტული მანიფესტაციები და ხმის მიცემის შედეგების გამოქვეყნებას ენტუზიაზმით შეხვდენ.

მოსკოვი. 18 მაისი, ინგლისის პროფესიონალური კავშირების ს ხელ ათ პერსელმა იმედი გამოსთქვა, რომ სულ მოკლე ხანში ინგლისის მუშები მიიღებენ ძვირფას სტუმრებს, რუსეთის მუშათა წარმომადგენლებსო. ნორვეგიისა და შვეიცის მუშათა წარმომადგენლებმა თავის სიტყვებში აღნიშნეს, რომ მათ საბჭოთა რუსეთში ისეთი წესრიგი და დისციპლინა ნახეს, რომლის შესახებაც საზღვარგარეთ წარმოდგენაც კი არა აქვთო. თუ ინგლისის 6 მილიონი მუშა ჩვენთვის ხმას აიმაღლებს,—ჩვენ შევსძლებთ ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვას და წითელი დროშა ინგლისში აფრიალდებაო. მუშების აღფრთოვანებულ ძახილზე უცხოელმა ამხანაგებმა გაიარეს მოსკოვის ქუჩებზე. საღამოს სტუმრებს დიდ თეატრში სპექტაკლის დროს მიესალმენ. ეკატერინოდარში ჩამოიყვანეს ყუბანის რაზმის წევრები, რიცხვით 68 კაცი თავმჯდომარე გონჩაროვთან ერთად. ისინი ტყვედ იყვნენ წაყვანილი ყუბანის დარჩენილ ჯართან. ყოველ ქალაქში მიტინგებია. ხალხს მოუწოდებენ გამოვიდეს შლიახტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩერნიგოვში მოიწვიეს და ფრონტზე გაგზავნეს ყველა პოლიტიკური მუშაკი. საფრანგეთიდან დაბრუნებული რუსი სამხედრო ტყვეები რიცხვით 1.500 კაცი დაუყონებლივ ჩაეწერენ წითელ ჯარში პოლონელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ოდესის ციხეში მჯდომი მოხალისეთა ჯარის ყოფილი ოფიცრები პოლონეთის ფრონტზე გაგზავნას თხოულობენ: ,,ჩვენ დავუმტკიცებთ—ამბობენ ისინი — კაპიტალის მიერ მოსყიდულთ, რომ ძველი სახელოვანი რუსეთის ჯარის ოფიცრები ვუერთდებით წითელ არმიის რაზმებს, მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივდივართ და უცხოელთ ჩვენ საქმეებში ჩარევის უფლებას არ მივსცემთ.

პოლონელების შემოტევის გამო აღძრულ საუბარში ზინოვიევმა განაცხადა: ომი საერთო ხალხოსნური ხდება. არა მარტო სოფლის მოწინავე მცხოვრებნი, თვით „კულაკებიც" კი უარყოფითად უქცერიან პოლონურ შლიახტის შემოტევასო. ქალაქებში უკრაინი-რუსი და ებრაული მოსახლეობა ერთიანად უერთდება საბჭოთა მთავრობას პოლონეთის პანებთან ბრძოლაში. ჩვენ უნდა ჩაუდგეთ სათავეში ამ სახალხო მოძრაობას. მან შეიპყრო მცხოვრებთა ყველა წრე და იგი ყოველ დღე ძლიერდებაო.

ვენის სავაჭრო სამრეწველოს 20.000 მოსამსახურე გაიფიცა. ისინი ითხოვენ ქირის მომატებას.

ირლანდიის ქალაქ ვატერფორდში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. ძალა-უფლება მუშების ხელში გადავიდა.

რკინის გზაზე

რკინის გზის მუშაკთ.

სამშობლოს დამცველი მხედრობა, ქართველი ხალხი, მთელი რესპუბლიკა აღტაცებულია თქვენი დაუღალავი და თავდადებული მუშაობით. საქართველოს მხედრობას უკვე მოპოებულ და მოძავალ გამარჯვებაში დიდი წილი გაქვთ და გექნებათ თქვენ. ის მხედრობა, რომელსაც თქვენისთანა დამხმარე და ხელის შემწყობი ჰყავს, უეჭველად შესძლებს ქვეყნის დაცვას. ყველა აფასებს თქვენს ღვაწლს, მაგრამ მადლობას არავინ გეუბნებათ, ვინაიდან ეს თქვენ არ გჭირიათ. თქვენ იცით, რომ რესპუბლიკა თქვენია და თქვენსავე საქმეს აკეთებთ. მხურვალე და ძმურ სალამს გიძღვნის საქართველოს ლაშქარი.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1920 წლის 2 ივნისს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საჩივარი სოლომონ და ნესტორი **ციციელიანებისა** ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 27 სექტემბრის და 10 ოქტომბრის დადგენილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს 1918 წლის 27 **ივლისის** და 1 აგვისტოს განკარგულება—შესახებ მათი უფლების დაცვისა მამულზე „პატარა აბანოს ადგილი" აფხაიძეების ძალადობისაგან.

2) საჩივარი სევასტი გიორგის ძე ჩხეიძისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს დადგენილებაზე—შესახებ მამულისა სოფ. თვრინაში, (შორაპნის მაზრა).

3) საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვეჭილის კ. ჯაფარიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმ. განყოფ. 1919 წლ. 2 ოქტომბრის დადგენილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილება—ძეგველოვის ბინის რეკვიზიცის შესახებ ფირმა „კახური ღვინის" საჭიროებისათვის.

მილიციაში

— ყაზბეგის ქ., № 8 მცხოვრებმა პოლკ. სერგი ვასილის ძე კვანჩეხაძემ განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოჰპარეს ხპარსული ხალი ღირებული 80.000 მან. ეჭვი აქვს პორუჩ. ვლადიმერ ალექსანდროვზე.

— სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო ალექსანდროვი, რომელიც დანაშაულში გამოტყდა და განაცხადა, რომ ხალი მიჰყიდა სტეფანე კეფჩიანცს, რომელსაც თავის მხრივ მიუყიდია კრიკორ ამბარცუმიანისთვის, იმას კი მიუყიდია მაშადი მამედ ალი გუსეინისთვის, რომელსაც აღმოაჩნდა ხალი და პატრონს ჩაბარდა. როგორც გამოირკვა ალექსანდროვი შეძლებული ყოფილა, ჰქონია უძრავი ქონება ქ. როსტოვში და სხვ. მაგრამ ეხლა უფულობის გამო ასეთი ნაბიჯი გადაუდგამს. ის დაპატიმრებულია.

— სისხლ. სამ. მილიციის უფროსმა მიიღო ცნობა, რომ გუდოვიჩის ქ. № 11 მცხოვრებს იბრაგიმ ისმაილ ოღლის აქვს ბევრი იარაღი. ამ ცნობის გამორკვევა მილიციის უფროსმა მიანდო თავის თანაშემწეს ვრ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც აღმოაჩინა ისმაილ-ოღლის ბინაზე ორი რევოლვერი და 80 ვინტოვკის პატრონა. ამავე დროს მილიციამ დანამდვილებით გაიგო, რომ ისმაილ ოღლის აქვს იარაღი. დაკითხვის შემდეგ მან განაცხადა, რომ იარაღი აქვს ბინაზე სახურავ ქვეშ, სადაც მართლაც აღმოჩნდა 6 ვინტოვკა. იბრაგიმ ისმაილ ოღლი დაპატიმრებულია ადმინისტრატიული წესით სამი თვით.

ბანცხადებანი

დაკარგულია პიროვნების მოწმობა მიღებული ვარონეჟის სამოქალაქო სკოლიდან ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ლაბუნსკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 953 1—1

დაიკარგა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის შვიდი საგიმნაზიო და მერვე სამასწავლებლო კლასის დამთავრების მოწმობები ალექსანდრა ალი გარდაფხაძის ასულის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1062 3—1

დაიკარგა 1900 წ. დაბადებულთა ჯარში გასაწვევ სიაში შეტანის მოწმობა ალექსანდრე დავითის ძე ზაქარიძის სახელზე, მიღებული 1 კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1107 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვასილ ჩხუბიანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 936 3—1

დაიკარგა პარიკმახერთა პროფესიონალურ კავშირის წევრობის წიგნაკი იაკოფ არიუტინის ძე სირონიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 937 3—1

დაკარგულია პიროვნების მოწმობა მიღებული ვარონეჟის სამოქალაქო სასწავლებ. გიორგი ნიკოლოზის ძე ლაბუნსკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 952 1—1

დაიკარგა მეტეხის შესახვევში № 10 მარიამ დუშმანოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1060 3—1

დაიკარგა პასპორტი პართენ ზაქარიას ძე იოვანშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 954 3—1

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 20951 სოფიო ხანგანეზოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 955 3—1

დაიკარგა ფეოდოსიის ქუჩაზე № 17 მდებარე ზაქარია ტალიაშვილის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 938 3—1

დაიკარგა ერმილე დოქვირის კამიშევის შესახვევში № 9 (ნავთლუღი) მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 940 3—1

სათადარიგო ოფიცერი ივანე გიორგის ძე ნაცვალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნამსახურობის ნუსხა № 203, მიღებული პირველი ქვეითა დივიზიის ქარავნის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 942 3—1

დაიკარგა სურენიანცის სახლის დიდი ვანქის № 10 მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 943 3—1

დაკარგულია პირადობის მოწმობა ლევან ზაქარიას-ძე თამაზიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1033 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა პანტელეიმონ დავითის ძე შარაშიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1041 3-1

დაიკარგა ტფ. 1 გიმნაზიის 9 კლასის დამთავრების მოწმობა № 1147 ლიუბა ალექსანდრეს ასული მიასნიკოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1042 3—1

დაიკარგა პასპორტი № 42 გაბრიელ ზაქარიას ძე ქვლივიძის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის უფროსისაგან 1899 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 925 3—1

დაიკარგა მიხეილ კოვალოვის, ვაშლოვანის შესახვევში № 1 მდებარე სახლის დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 928 3—1

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 6294 პეტროს ავდალოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 934 3—1

დაიკარგა პასპორტი № 6437 მატრონა სერგოს ასული გურგენიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 935 3—1

ტფ. მე-22 უბნის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 1920 წელს მაისის 24-ს დილის 10 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გეურქა არუთინოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახ. ავეჯეულობას. ქონება იყიდება გაბრიელ ლა სხვა გოტაევების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და შეფასებულია 6000 მან. ვაჭრობა მოხდება მე-7 უბ. ალაზანის ქ. № 3.

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე დარჩიოვის ასულის სახელზე, მიღებული გორის ქალ. თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1044 3—3

დირექციის მიერ დაკარგული ოთხი კლასის მოწმობა № 248, მიღებული ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიიდან 1895 წლ. 31 აგვ., გაუქმებულათ ჩაითვალოს. 930 3—3

დაიკარგა სანაოსნო საზოგადოების „ლოიდ ტრესტინოს" კონოსამენტი № 378 ქ. სტამბოლიდან ქ. ფოთში საქონლის გაგზავნის შესახებ—3 ყუთი ჭურჭლისა მარკა „მ" 304—305—306, ზემოთ აღნიშნულ მარკების გარდა ყუთებზე არის მარკები „ნ. ვ." გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1015 3—3

დაკარგულია მეეტლის მოწმობა გრიგოლ ნიკურა ძის სახელზე; ბლიახა № 164. ცხენებზე გადასახადის 1000 მ. შეტანის კვიტანცია; კვიტანცია, მიღებული ტფილისის ქალაქ. თვითმართველობიდან ბლიახის ფული შეტანის შესახებ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 879 3—2

დაიკარგა საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახაჩრებულთა კავშირის წევრობის ბარათი № 118 სოფრომ სიკოს ძე ბარამიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—2

დავკარგე პასპორტი № 120, მოცემული ლეჩხუმის მაზრის უფროსისაგან 1916 წელს, რომელშიც აგრეთვე აღნიშნული იყო ქ. ფოთის ჯარის კაცთა გამწვევ კომისიის მიერ რომ მე თავისუფალი ვარ სამხედრო ბეგარისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 37 მუხ. ლიტ. „ა" ალექსანდრე ასლანიკაშვილი 882 3—2

დაიკარგა პასპორტი № 920 ავეტის მკრტიჩიანცის სახელზე, მიღებული ნიხის სამაზრო უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1076 3—3

შალვა კავილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული 1919 წ. იანვრის 3-ს ტფილისის მაზრ. სამხედრო უფროსისგან ჯარში გაწვევიდან განთავისუფლების შესახებ 79 სტ. ლიტ. ა. გაუქმებლათ ჩაითვალოს. 926 3—2

დავკარგე ნასყიდობის სიგელი, მოცემული ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან 1920წ, № 2 ნაწილის № 192 ფურცელი 495, 497. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ოქროყანის ქუჩა №5 იოსეფ სოლომონის ძე მოსულიშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 995 3—3

სარქის მელიქის ძე ყასაბიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ს. ფაშა-ქენთის ახალბაიაზეთის მაზრ., ერევნის გუბ. სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 961 3—3

დაიკარგა ავლაბრის მე-5 ფერმა № 9. მდებარე ივანე ზაქარიას ძე კანდელაკის სახლის საბინაო დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1032 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველოდან გაცემული მოწმობა 1919 წ. 13/XI გაბრიელ დავითის ძე ლეშკაშელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1035 3—3

დაიკარგა პასპორტი მიცემული მაისში 1919 წ. ბაქოს მე-2 საპოლიციო უბნიდან ნიკოლოზ სამუელის ძე ანტონოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 993 3—3

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სამხედრო აღრიცხვის სამმართველოს სამნეო ნაწილის გამგისაგან № 278 ალექსანდრე შიოს ძე ალემბარაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 969 3—3

დაიკარგა თელავის ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული პასპორტი № 1680 გრიგოლ არტემის ძე ავეტიკოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1037 3—3

დაიკარგა საბინაო წიგნი ქალთა მეშვიდე გიმნაზიისა, რომელიც მდებარებს მესამე სამილიციო უბანში. წიგნი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 982 3—3

სააქციო საზოგადოება „ჟირომას".

ანგარიში 1919 წ. თებერვლის 17-დან 1 ოქტომბრამდე.

საერთო შემოსავალი:

შემოსავალი	8.546.494 მ. 96 კ.
გასავალი	7.258.724 მ. 82 კ.
წმინდა მოგება	1.287.770 მ. 14 კ.

ბალანსი 1919 წ. 1 ოქტომბერს.

აქტივი.

კასა	8.629 მ. 39 კ.
ანაბარები (вклады) საკრედიტო დაწესებულებებში	482.550 მ. —
უძრავი ქონება	1.226.870 მ. 32 კ.
მოძრავი	1.633.370 მ. 50 კ.
პირველ დაწყებითი ხარჯები	52.906 მ. 84 კ.
საქონელი	1.541.397 მ. 50 კ.
მასალები	749.004 მ. 91 კ.
დაუმუშავებელი მასალა	461.557 მ. 60 კ.
ტანისამოსი	3.943 მ. —
ცოცხალი ინვენტარი	5.000 მ. —
იარაღები	15.596 მ. —
ჩასალაგებელი მასალები	572.017 მ. 76 კ.
სხვა და სხვა პირები და დაწესებულებანი	1.298.434 მ. 67 კ.
მოსამსახურენი	6.983 მ. 94 კ.
მუშები	10.708 მ. 80 კ.
გარდამავალი თანხები	178.029 მ. 08 კ.
ახალი საანგ. პერიოდის ხარჯი	12.595. მ. 86 კ.
	8.259.596 მ. 17 კ.

პასივი.

ძირითადი თანხა	4.000.000 მ.
დაზღვევის ფონდი	91.005 მ. 14 კ.
სალიკვიდაციო ფონდი	136.204 მ. 40 კ.
სავადო სესხი	187.000 მ.
სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი	2.145.068 მ. 55 კ.
მოსამსახურენი	5.351 მ. 54 კ.
გარდამავალი თანხები	35.140 მ. 75 კ.
დეპონენტები	372.055 მ. 65 კ.
წმინდა მოგება	1.287.770 მ. 14 კ.
	8.259.596 მ. 17 კ.

ამა წლის 18 აპრილის სხდომაზე საზოგადო კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ბალანსი. დაადგინა მიეცეს მოგებიდან დივიდენდში თითეულ აქციაზე 164 მ. 15 კ.

დივიდენდს იძლევა საზოგადოების გამგეობა ამა წლის 1 მაისიდან საზოგადოების კანტორის ბინაზე, ტფილისი, ჟალოუბნის ქ., № 7.

გამგეობის თავმჯდომარე ინჟ. **გ. ხ. ენჩმენი.**

1077 1—1

საჯარო ვაჭრობა

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამართველო

ამით საყურადღებოდ აცხადებს, რომ ორშაბათს 31 მაისს, ქალ. ბორჯომში სამართველოს კანტორაში დილის ათ საათიდან შესდგება

საჯარო ზეპირი ვაჭრობა სასტუმროებისა და სხვა საავჭრო შენობების

იჯარით გაცემაზე. ვაჭრობა დაიწყება: 1) სასტუმრო „მინერალური წყლები" 24 ავეჯით მოწყობილ ოთახით ასი ათას მანეთიდან; 2) სასტუმრო „ბორჯომი" 18 ავეჯით მოწყობილი ოთახით 50 ათასი მან-დან; 3) ბუფეტი „ეკატერინეს წყაროს" გალერეაში 30 ათასი მან-დან; 4) პავილიონი სარძევე 5 ათასი მან-დან; 5) იქვე პატარა პავილიონი მონოგრამების სამუშაო ორი ათასი მან დან; 6) იქვე პავილიონი ბეჭდითი ნაწარმოებთა სამი ათასი მან-დან; 7) შენობა ქარვასლაში ხორბალის და სხვ. საწყობათ 5 ათასი მან-დან; 8) სავაჭრო სახლი სამი დუქნით და სარდაფით 15 ათასი მან-დან; 9) ხუთი ბუდკა-დუქანი მწვანე ბაზარში თითო ხუთი ათას მან-დან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტანონ სამართველოს კასაში 1/3 შეფასებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სამართველოში ბორჯომში. 1098 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**